სკოლის ოთხეულის ბიბლიოთეკა

287 1 162

საქაღალდე
ПАПКА
ДЛЯ
БУМАГ

287 1 162

დასტურდება ელექ.
16.01.2025 7

საქართველოს პედაგოგიკური საზოგადოების
თავმჯდომარეს
აკადემიკოს დ.ო.ლორთქიფანიძეს

ბატონო დავით!

მე გადმომცეს, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად თქვენთან წარმოდგენილია პროფესორ აკაკი სარდიონის ძე თოფურიას წიგნი - „ლეო ქიაჩელი".

ჩვენი ერთერთი დიდი განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მინიჭება, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, პირველყოვლისა ეროვნული საქმე გახლავთ, მეცნიერულთან ერთად, ამიტომ აუცილებელია ეს დიდი ჯილდო მიიღოს მხოლოდ ღირსეულმა ნაშრომმა.

როგორც ლეო ქიაჩელის ახლო მეგობარმა და მისი შემოქმედების პირუთვნელმა მკვლევარმა, უნდა განვაცხადო, რომ წამოყენებული კანდიდატურა უეჭველად იმსახურებს საკითხის დადებითად გადაწყვეტას. პროფესორ აკაკი თოფურიას „ლეო ქიაჩელი" (თბილისი, 1984 წ., „განათლება", მეორე გამოცემა) ამ მწერლის შესახებ ყველაზე ვრცელი, საინტერესოდ დაწერილი, ფაქტებით მდიდარი და ახალი დასკვნებით შევსებული მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც წმინდა ლიტერატურული ღირსების გარდა პედაგოგიკურ-მეთოდიკური პრობლემების მონოგრაფიული შესწავლითაც გამოირჩევა.

ამ მოკლე წერილში საშუალება არა მაქვს ხსენებული ნაშრომის ყველა ღირსება დავახასიათო. ჩემი მიზანია კატეგორიულად დავუჭირო მხარი პროფესორ აკაკი სარდიონის ძე თოფურიას მონოგრაფიას - „ლეო ქიაჩელი", რომელიც უეჭველად იმსახურებს საძიებელ მაღალ ჯილდოს.

დიდი პატივისცემით
თქვენი გიორგი ჯიბლაძე,

სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დოქტორი, პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

2/I-85